სსიპ სოსო ღვინიაშვილის სახელობის
გურჯაანის მუნიციპალიტეტის
სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა

LEPL SOSO GVINIASHVILI GURJAANI
MUNICIPALITY VILLAGE ZEMO KACHRETI
PUBLIC SCHOOL

მის: საქართველო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი
სოფელი ზემო კაჭრეთი, ს/ი 1512,ს/კ 227752642
ტელ. 577679094, ელ.ფოსტა. Zemokachreti@mes.gov.ge

Adress: Georgia, Gurjaani Municipality
Village Zemo Kachreti, P/C 1512, I/C 227752642
T: 577679094, E-mail: Zemokachreti@mes.gov.ge

10/12/2025

MES 8 25 0001761993

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავჯდომარეს ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლის 2021 წლის 9 დეკემბრის №1/კ-51 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი ნაზიბროლა ხაჭაპურიძე.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 1 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა.

სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 1 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

3) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში არ ყოფილა შეტანილი და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

პატივისცემით,

კახეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
საჯარო სკოლები
სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის
მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო
სკოლა
დირექტორი
ზაკალაშვილი მაია